

## ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება N2

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ საკონკურსო - საატესტაციო კომისიის აპარატის შექმნისა და მისი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომელთათვის ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 ივნისის N99 დადგენილების საფუძველზე და ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველის მ/შ 2015 წლის 11 ნოემბრის N102 ბრძანების საფუძველზე

### ვბრძანებ:

1. შეიქმნას ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ საკონკურსო - საატესტაციო კომისიის აპარატი და განისაზღვროს იგი შემდეგი შემადგენლობით:
  1. გიორგი ბენიძე - აპარატის უფროსი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
  2. ეკატერინე ჭეიშვილი - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი
  3. რუსუდან კვიციანი - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
  4. შოთა აბუაშვილი - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
  5. ნათია გურული - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;
  6. სერგო ჩაკვეტაძე - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
  7. გიორგი დათუაშვილი - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
  8. ანა ჭანკვეტაძე - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
  9. ლევან სახელაშვილი - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
  10. ბაკურ ტყეშელაშვილი - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
  11. მირანდა ბოჭორიშვილი - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის თანამშემწე;

12. მაცვალა ქობულაძე - აპარატის წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი მ/შ

2. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ საკონკურსო - საატესტაციო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს:

1. ატესტაციასთან დაკავშირებით გამოცემული სამართლებრივი აქტების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა;

2. ატასტაციაში მონაწილე პირების განცხადებების მიღება;

3. ატესტაციაში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დაბუღებასთან;

4. კომისიის სხდომების ტექნიკურად მომზადება, კომისიის ოქმების შედგენა;

5. კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების ცალკეული დავალებების შესრულება;

6. საკონკურსო საატესტაციო კომისიაში შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვა და სათანადო ელექტრონულ მონაცემთა ბაზის შექმნა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის N11/.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე

